# ხელშეკრულება # 25

ქ. ხაშური                                                                                    16 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ *სსიპ დავით კაკიაშვილის სახ. ქ. ხაშურის #2 საჯარო სკოლა* (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის *თამარ მახათაძის* სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი** თამაზი ბარბაქაძე შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1, ხელშეკრულების საგანია სსიპ დავით კაკიაშვილის სახ. ქ. ხაშურის #2 საჯარო სკოლის სახსრებით, სატელიტური ანტენის მონტაჟის სამუშაოები მიმწოდებლის კუთვნილი მასალებით (თეფში, ორი რესივერი და დამხმარე მასალები) (შემდგომში – სამუშაო) შეძენა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, **CPV** 45312320

1.2, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარს, აქედან საშემოსავლო 50,00 ლარს დააკავებს და გადარიცხავს „შემსყიდველი", ხოლო „მიმწოდებელი" მიიღებს 200,00 (ორასი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი თამარ მახათაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია:

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება *2015 წლის 31 ივლისამდე* ჩათვლით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცილებელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის *ხელმოწერისთანავე* და მოქმედებს *2015 წლის 31* *დეკემბრის* ჩათვლით.

**შემსყიდველი:**

*სსიპ დავით კაკიაშვილის სახ. ქ.ხაშურის #2 საჯარო სკოლა*
მის: *ქ.ხაშური, რუსთაველის ქ. # 95*
საიდენტიფიკაციო კოდი *243874786*
ბანკი *ლიბერთი ბანკის ხაშურის განყოფილება*
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა **GE49LB0121114845080000**
ტელ: *0368 24 09 71*

დირექტორი *თამარ მახათაძე*

**მიმწოდებელი:**

ფიზიკური პირი თამაზ ხარბაქაძე
მის: ხაშური, იმერეთის ქ # 96
საიდენტიფიკაციო კოდი: 57001023707
ბანკი *საქართველოს ბანკი*
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE33BG0000000105465600
ტელ: *551 234111*

ფიზიკური პირი თამაზ ხარბაქაძე